სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
470.230.000.11.119.005.846

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრისბ ბრძანება №117/ნ

2003 წლის 21 მაისი

ქ. თბილისი

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დამადასტურებელი მოწმობის ერთიანი ნიმუშისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

„ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -11 მუხლის თანახმად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დამადასტურებელი მოწმობის ერთიანი ნიმუში და მისი გაცემის წესი (დანართები №1, №2);
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. გამყრელიძე

დანართი № 1

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დამადასტურებელი ერთიანი ნიმუშის მოწმობის გაცემის

წ ე ს ი

1. „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებულ პირებზე ერთიანი ნიმუშის მოწმობა გაიცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მეშვეობით.

2. ერთიანი ნიმუშის მოწმობის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტებია:

ა) ცნობა მივლინებაში გამგზავნი ორგანიზაციიდან, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი სამართალმემკვიდრე ორგანიზაციიდან ან არქივიდან;

ბ) ცნობა სამხედრო კომისარიატიდან და სამხედრო ბილეთი (სამხედრო ხაზით გაწვეულთათვის);

გ) მივლინების ადგილზე დამოწმებული სამივლინებო ფურცელი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი (სამუშაოს შესრულების შესახებ);

დ) შრომის წიგნაკის ამონაწერი;

ე) ქორწინების მოწმობის ასლი;

ვ) დაბადების მოწმობის ასლი;

ზ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

თ) ცნობა პირის შრომისუუნარობის შესახებ (მონაწილის ოჯახის წევრის შემთხვევაში).

3. მოწმობის სხვა პირზე გადაცემა აკრძალულია.

4. დაკარგული მოწმობის დუბლიკატის გაცემას იმავე წესით უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მეშვეობით;

5. ერთიანი ნიმუშის მოწმობა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია.

დანართი 2

ჩერნობილის ატომურ ელექტროტროსადგურზე
და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო
დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე
ავარიული სიტუაციების შედეგების
ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი
ოჯახის წევრების

მოწმობა №

სურათის ადგილი

სახელი
გვარი
დაბადების წელი, თვე, რიცხვი
ტელეფონი

არის ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტზე ავარიული სიტუაციების ლიკვიდაციის

_____

(დაზარალებული, ინვალიდი, ოჯახის წევრი)

მოწმობის გამცემი: ადგილობრივი მმართველობის ორგანო
გამგეობა (მერია)

ბეჭდის ადგილი

ხელმოწერა

დამტკიცებულია საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის №117/ნ ბრძანებით

მოწმობის წარმდგენს უფლება აქვს ისარგებლოს ყველა იმ შეღავათებითა და უპირატესობით, რაც დადგენილია საქართველოს 2000 წლის. 8 ნოემბრის №587-Iს კანონით ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილისათვის, ინვალიდისათვის, ოჯახის წევრისათვის

მოწმობის სხვა პირზე გადაცემა აკრძალულია

მოწმობის გაცემის თარიღი _____
წელი, თვე, რიცხვი